ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი №9

ქ. ვანი 19 12 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ალექსანდრე მჟავანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.
აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.
ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, წევრი.
რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.
თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით

- მუქედის თემში ადმინისტრაციული შენობის მოწყობა
- ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის შავი საფარის მოწყობა
- ქ. ვანში 26 მაისის ქუჩაზე მდ. ჭიშურაზე არსებული ფოლადის ხიდის რეაბილიტაცია
- მთისძირი-ჭაგან-ჭყვიშის გზაზე ასფალტბეტონის შავი საფარის მოწყობა
- ქ. ვანში რუსთაველის ქუჩაზე ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა
- ქ. ვანში ერისთავის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა
- ქ. ვანში გიორგაძის ქუჩაზე (კეჭნარას უბანი) გარე განათების მოწყობა
- კულტურის ცენტრის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპი
- დიხაშხოს თემში ისრითის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გარე განათებაზე 10 სანათის დამატება
- ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია
- ქ. ვანში №1 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპი
- სტადიონის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპი
- ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა №65 არსებული შენობის აღმოსავლეთის მხარეს სკვერის მოწყობა
- ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა №65 არსებული შენობის დასავლეთის მხარეს სკვერის და პარკინგის ადგილის მოწყობა
- ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩაზე ცენტრალური საავტომობილო გზის გასწვრივ ფეხით მოსიარულეთა ბილიკის მოწყობა

სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კონკურსის ჩატარების შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე მჟავანაძე

კომისიის წევრები:

1. ავთანდილ ჭელიძე
2. შოთა კორძაძე
3. აკაკი წერეთელი
4. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი